მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთში მოპოვებოდა უმდიდრესი მარაგი ქვანახშირისა და ნავთობისა, ქვეყანა სისტემატურად სათბობის კრიზისს განიცდიდა და ქვანახშირის მოთხოვნილების ნაწილი საზღვარგარეთიდან (ინგლისიდან) შემოტანილი ნახშირითაც კი იფარებოდა. მცირე ოდენობით წარმოებდა სათბობის მოპოება და ამავე დროს მისი დამზადება ტერიტორიულად ფრიად არათანაბრად იყო განლაგებული: 1913 წ. რუსეთში ქვანახშირის საერთო მოპოვების 87% დონბასზე მოდიოდა, ხოლო ნავთის მოპოვების საერთო რაოდენობაში ბაქოში მოპოვებული ნავთი 83%-ს შეადგენდა. „სათბობი მომარაგების დაბრკოლებანი იმდენად მწვავე ფორმებს ღებულობდა, რომ ბურჟუაზიული მკვლევარები რუსეთს ახასიათებდნენ როგორც სათბობის ორგანული დეფიციტის ქვეყანას. რა თქმა უნდა, სათბობით მომარაგების კრიზისი ორგანული მიზეზებით როდი აიხსნება, პირიქით, სათბობის ბუნებრივი რესურსებით რუსეთი მეტად მდიდარი ქვეყანაა, ხოლო სათბობის სისტემატური კრიზისის ახსნა კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ, რომელნიც აბრკოლებდნენ მეფის რუსეთში სათბობ მრეწველობის სათანადო განვითარებას, განსაკუთრებით კი აფერხებდნენ განაპირა მხარეებში ადგილობრივი სათბობი ბაზების ორგანიზაციას“¹. სათბობ მრეწველობის განვითარების დაბალი დონის

¹ Энергетические ресурсы СССР. АН СССР, том II, стр. 435.

ნათელსაყოფად საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ მეფის რუსეთში 1913 წ. მოპოებული ქვანახშირი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა სრულებით უმნიშვნელო ოდენობას—209 კლგ., მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ნორმა იმავე პერიოდში შეადგენდა 5.756 კლგ., ინგლისში—6.395 კლგ., გერმანიაში—2.872 კლგ და საფრანგეთში—1.057 კლგ¹. კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო სათბობი მრეწველობა და საერთოდ სათბობის მეურნეობა საქართველოში. საქართველოში სათბობი მრეწველობა წარმოდგენილი იყო ტყიბულის ქვანახშირის მალარობით, სადაც პრიმიტიულ პირობებში წარმოებდა ნახშირის მოპოვება. მიუხედავად სათბობის ბუნებრივი რესურსების შესახებ არსებული ლიტერატურული ცნობებისა, საქართველოს სათბობი რესურსები ყოველგვარი გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე რჩებოდა.

საქართველოში (ტყიბულში) 1913 წ. მოპოებული იყო 63 ათასი ტონა ქვანახშირი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე 30 კლგ არ აღემატებოდა. საქართველოს მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო წვერილი, მცირე სიმძლავრის, დაბალი ეკონომიური მაჩვენებლების მქონე ელექტროდინამოგარების არსებობა, რომელნიც ძირითადად შემოზიდულ თხევად სათბობზე მუშაობდნენ.

მოპოებული ქვანახშირი გამოიყენებოდა როგორც საყოფაცხოვრებო სათბობი, ხოლო საწარმო-ტექნიკური მიზნებისათვის იგი თითქმის არ იხარჯებოდა, რადგანაც არც კი მოიპოვებოდნენ სათანადო მომხმარებელნი, თბოტევადი მრეწველობის საწარმონი.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე აიღო გეზი სათბობ მრეწველობის სწრაფი განვითარებისა და სათბობის მოხმარების რაციონალიზაციისაკენ. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წ. მოითხოვდა ფართოდ გამოყენებულიყო ადგილობრივი, მდარე ღირსების საწვავი რესურსები, რათა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი (კოქსვადი) მომჭირნეულიყო მეტალურგიის მიზნებისათვის, ხოლო თხევადი სათბობი—შიდაწვის ძრავებისათვის.

საჭიროება მაღალხარისხოვანი სათბობის ხარჯვის შემცირებისა და დაბალხარისხოვანი სათბობის ხარჯვის ფართოდ დანერგვისა ელექტროენერგიის მისაღებად მკაფიოდ აღნიშნა ვ. ი. ლენინმა „მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონახაზში“, სადაც წერდა, რომ აუცილებელია „... არაპირველხარისხოვანი სათბობის (ტორფი, მდარე ხარისხის ქვანახშირი) გამოყენება ელექტრული ენერგიის მისაღებად უმცირესი დანახარჯით საწვავის მოპოებასა და გადაზიდვაზე“².

ქვანახშირის შორეულ გადაზიდვათა ლიკვიდაცია და ადგილობრივი ქვანახშირის ამოღების ახალი ბაზების შექმნა სსრ კავშირის ყველა რაიონში, სადაც მოაპოვება ნახშირის მარაგი, სათბობი მეურნეობის ერთერთი აქტუალური ამოცანაა.

საქ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი

¹ Экономическое соревнование социализма и капитализма. ОГИЗ 1939 г. Составил Я. А. Иоффе, ст. 13.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებათა XXII ტომი, ქართ. გამოცემა, გვ. 509—510.

სტალინი აღნიშნავდა: „მთელი ძალღონით გავშალოთ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება ყველა უკვე ცნობილ რაიონში, მოვაწყოთ ქვანახშირის ამოღების ახალი რაიონები (მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ბურესკის რაიონებში), გადავაქციოთ კუზბასი მეორე დონბასად“¹.

სათბობი მრეწველობის მკვეთრი გადიდების საჭიროება აღნიშნულია მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში:

„ყოველნაირად განვითარდეს ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის დარგები, რომლებიც ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სათბობის ბაზას წარმოადგენენ“².

ადგილობრივი ნახშირების ამოღების განვითარება ერთერთ პირობას წარმოადგენს განაპირა რაიონებისა და მხარეების ინდუსტრიალიზაციისათვის და სათბობის შორეულ გადაზიდვათა შემცირებისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირში ქვანახშირის სარკინიგზო ზიდვის საშუალო სიგრძე 1937 წ. 716 კლმ. შეადგენს³, ნავთის პროდუქტებისა 1.086 კლმ. და შეშის 261 კლმ. ჩვენ მოვიყვანეთ საშუალო მონაცემები, რომელნიც მეტად საგრძნობ ციფრებში გამოიხატება, ცალკეულ შემთხვევებში კი ქვანახშირისა და შეშის ზიდვის სიგრძე 1000—1500 კლმ. აღემატება.

გეზი ადგილობრივ სათბობის ამოღების განვითარებისა წითელი ხაზით არის გავლებული პირველ, მეორე და მესამე სტალინურ ხუთწლიან გეგმებში.

მეორე ხუთწლედში ადგილობრივ ნახშირის ამოღების ხვედრითი წონა ნახშირის საერთო მოპოვებაში გაიზარდა 13,1%-დან 1932 წ. 15%-მდე 1937 წ.⁴ ადგილობრივი ნახშირის ამოღების ხვედრითი წონის ზრდა როდი არის საკმარისი.

ადგილობრივი სათბობის მოპოვების განვითარების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ხალხის უბოროტესი მტრები, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, რომელნიც მავნებლობას ეწეოდნენ სათბობ მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მავნებლების ძირგამომთხრელი მუშაობა მხილებულ იქნა და სათბობ მრეწველობის ყველა დარგში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის და ადგილობრივი სათბობის მოპოვების მკვეთრი გადიდებისათვის. მესამე სტალინური ხუთწლედის ითვალისწინებს ადგილობრივი ქვანახშირის ამოღების გაცილებით უფრო დიდის რაოდენობით გადიდებას, ვიდრე ნახშირის მოპოვების საშუალო ზრდა არის გათვალისწინებული.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელების საფუძველზე გატარებულმა ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია საქართველოში სათბობ მრეწველობის ორგანიზაციის საჭიროება. ძირეულად რეკონსტრუირებულ იქნა ტყიბულის მადაროები და ნახშირის მოპოვება უკვე 1939 წელს

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 ქართ. გამოცემა, გვ. 555.

² საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, ქართ. გამოც., გვ. 17.

³ იხ. Экономика социалистической промышленности под редакцией докторов экономических наук Грановского и Маркуса, 1940 г., ст. 310.

⁴ იხ. Энергетические ресурсы СССР, т. II, ст. 447.

აყვანილ იქნა 310 ათას ტონამდე. ახლად შექმნილია ტყეარჩელის ქვანახშირის მექანიზებული წარმოება. საფუძველი ჩაეყარა გელათისა და ახალციხის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციას. ნახშირის საერთო მოპოება საქართველოში 1939 წ. აყვანილ იქნა 547 ათას ტონამდე. აშენებული და ორგანიზებულია მთელი რიგი თბოტევადი მრეწველობის დარგები, რომელნიც საკმაოდ დიდის რაოდენობით მოიხმარენ ქვანახშირს. ამავე დროს საქართველოს სათბობმა (ქვანახშირის) მრეწველობამ უნდა დააკმაყოფილოს არა მარტო საქართველოს მეურნეობის საჭიროება, არამედ აკავასიის მეზობელ რესპუბლიკების მოთხოვნილებანიც.

სათბობი მრეწველობის განვითარების როგორც ოპერატიული, ისე პერსპექტიული დაგეგმვისათვის აუცილებელია სათბობის ბალანსის დამუშავება. სათბობის ბალანსის შედგენის საშუალებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას სწორი თანაშეფარდების დამყარება სათბობის მოპოებასა და მის მოხმარებას შორის. სათბობის შეჯამებითი ბალანსის დამუშავება გულისხმობს, რათა შედგენილ იქნას სათბობის ცალკეულ სახეობათა ბალანსები (ქვანახშირის, ნავთობის, ტორფის, შეშის და სხვ.).

სათბობის ბალანსის დამუშავება, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს სათბობის (სხვადასხვა სახის) მოპოებასა და მოხმარებას შორის სწორი თანაფარდობის დამყარების შესაძლებლობას, აგრეთვე მიზნად ისახავს განსაზღვრულ იქნას სათბობის წარმოებისა და მოხმარების სწორი სარაიონთაშორისო კავშირის დამყარება, ე. ი. გარკვეულ იქნას, თუ რა რაოდენობა სათბობისა (სახეობათა მიხედვით) შეიზიდება ამათუიმ რაიონში მეორე რაიონიდან და რა რაოდენობითაა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ამათუიმ რაიონიდან სათბობის გადაზიდვა მეორე რაიონში. ამავე დროს სათბობი ბალანსის დამუშავებით შესაძლებელი ხდება სათბობის მოხმარების გარკვეული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება სათბობის ცალკეულ სახეობა მიზანშეწონილ შენაცვლებისაკენ, ე. ი. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, თხევადი სათბობის შენაცვლება ადგილობრივი მაგარი სათბობით, შორიდან მოტანილი სათბობის ადგილობრივი სათბობით, და ამავე დროს მტკიცედ განისაზღვროს სათბობის ხარჯვის ნორმები, სათბობის ხარჯვის რაციონალიზაციისა და მომჭირნეობის განხორციელების გატარების აღრიცხვის საჭიროებით. სათბობის ბალანსი, ისე, როგორც ელექტროენერჯის ბალანსი, ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული ბალანსის შემადგენელი ნაწილია. სახალხო მეურნეობის ერთიანი ენერგეტიკული ბალანსი გვეძლევა საშუალება განვახორციელოთ ცვლილებანი ენერგეტიკული ბალანსის მოხმარების სტრუქტურაში, რასაც უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. სათბობი ენერგეტიკული ბალანსის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში სათბობი ბალანსი აქამდე არ არის დამუშავებული. სსრ კავშირში ამ მიმართულებით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკული ინსტიტუტი, საქართველოში კი არავითარი მუშაობა ამ მიმართულებით არ წარმოებს.

ავტორმა ჩაატარა პირველი ცდა სათბობის სხვადასხვა სახეობის ხარჯვის

სტრუქტურის ანალიზისა, რომლის საფუძველზედაც დასახულია საქართველოს სათბობ მრეწველობის განვითარების ძირითადი ამოცანები და მოცემულია საერთო ხასიათის დასკვნები.

საქართველოს სათბობი რესურსები

საქართველოს მოებობება სათბობის თითქმის ყველა სახის რესურსები: ქვანახშირი, მურანახშირი, ნავთი, ბუნებრივი საწვავი გაზი, შემის მერქანი.

სათბობი რესურსების ამჟამინდელი სტრუქტურა პირობითი ხასიათს ატარებს, რადგანაც სათბობი რესურსები ინტენსიური შესწავლის პროცესში იმყოფება და ყოველწლიურად ირკვევა ახალი, დამატებითი შესაძლებლობანი მარაგის გადიდების მიმართულებით.

საქართველოში სათბობი რესურსების გეგმაშეწონილი გამოკვლევა-შესწავლა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობები საქართველოს ქვანახშირის საბადოთა შესახებ (ტყიბული, ტყვარჩელი) ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან მოიპოებოდა, არავითარი სერიოზული მუშაობა მათი შესწავლისა და გამოკვლევის მიმართულებით არ წარმოებდა.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარების საფუძველზე გაჩნდა სათბობ რესურსების გეგმაშეწონილი შესწავლისა და გამოვლენის საჭიროება. ჩატარებულ გეოლოგიურ საძიებელ-საკვლევო მუშაობათა შედეგად გამოვლინებულია სათბობი რესურსების როგორც მარაგი, ისე სათბობის ქიმიური და ფიზიკური თვისებები. რა თქმა უნდა, ეს მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის და კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო ჩვენი სათბობი რესურსების შესწავლისათვის.

საქართველოში სათბობი რესურსების გარდა დიდის რაოდენობით მოიპოება „თეთრი ნახშირი“—ჰიდროენერგეტიკული რესურსები. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საერთო მარაგში ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი წონა 89%-ს უდრის, სსრ კავშირში კი მთლიანად იგი 10—11 პროც. არ აღემატება.

საქართველოს სათბობის პოტენციურ რესურსთა სტრუქტურაში ქვანახშირის მხოლოდ 31,9% ეკუთვნის, მაშინ როდესაც სსრ კავშირში—94,3%, ამიტომ საქართველოში ქვანახშირი გამოყენებულ უნდა იქნას ტექნოლოგიურ მიზნებისათვის (ძირითადად).

ენერგეტიკული რესურსების სხვადასხვაობა მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის მათი კომბინირებული გამოყენებისათვის.

ენერჯის სხვადასხვა წყაროს კომბინირებული გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ენერგოდანადგარების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. ამ გარემოებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი შესაძლებლად ხდის საქართველოში ენერგოტევად და თბოტევად მრეწველობის დარგების ორგანიზაციასა და განვითარებას.



საქართველოს სათბობი პოტენციური რესურსების სტრუქტურა და მისი დელი შესწავლის დონის მიხედვით, შემდეგი შეფარდებით ხასიათდება:

საქართველოს სათბობის პოტენციური რესურსების სტრუქტურა:

რესურსების სახეები	საზომი ერთეული	მარაგი ნატურ. ერთეულში	პირობით სათბობი მილ. ტონ.	ხვედრითი წონა %-ბით
1. ქვანახშირი	მილ. ტონა	265,0	185,4	31,9
2. ნახშირიანი ფიქალბე . . .	"	74,2	41,6	7,1
3. ნავთობი	"	176,2	264,0	45,4
4. ბუნებრივი საწვავი გაზი .	მილ. კ/მ.	25038	—	—
5. შეშის მერქანი	მილ. ტონა	—	37,0	6,4
	მილ. კ/მ.	200,3	—	—
	მილ. ტონა	—	54,0	9,2
სულ სათბობი რესურსები	მილ. ტონა	—	582,0	100,0

I. ქვანახშირის საერთო მარაგი 265,0 მილ. ტონის რაოდენობით შესდგება შემდეგ საბადოთა ნახშირისაგან: ტყიბულის საბადო. ამ საბადოს მარაგი დაამტკიცა მარაგთა ცენტრალურმა კომისიამ 1936 წ. 48.245 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან: A₂—21.568 ათასი ტონა, B—9.047 ათასი ტონა და C—17.630 ათასი ტონა.

ტყვარჩელის კოქსვალი ნახშირის საბადო. მარაგთა ცენტრალურმა კომისიამ 1936 წ. ტყვარჩელის საბადოს მარაგი დაამტკიცა მხოლოდ II ფართობზე 50.410 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან A₂—31.710 ათასი ტონა, B—18.700 ათასი ტონა. გარდა ამისა, ტყვარჩელის საბადოს ექვსივე ფართობზე გამოთვლილ ქვანახშირის რაოდენობა განისაზღვრება 69.500 ათასი ტონით.

გელათის საბადო სრულად ჯერ შესწავლილი არ არის. მარაგთა რაიონული კომისიის მიერ 1934 წ. გელათის საბადოს მარაგი დამტკიცებულია 1.008 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან B კატეგორიით—599 ათასი ტონა; C₁—409 ათასი ტონა.

ბზიბის კოქსვალი ქვანახშირის საბადოს მარაგი გამოკვლეულია მხოლოდ ნაწილობრივ; სახელდობრ: 1934 წ. ა/კ. სარაიონო მარაგთა კომისიამ დაამტკიცა მარაგი კოჯერბუის ფართობზე C₁ კატეგორიით 343 ათასი ტონის რაოდენობით. ჯიხვის ფართობზე ფენების სამუშაო ნაწილებში მარაგი შეადგენს 250 ათას ტონას.

მაგანის კოქსეადი ქვანახშირის მარაგი დამტკიცებული არ არის; რეზერვული ზოგადი გამოკვლევის საფუძველზე გამოთვლილი მარაგის ოდენობა განისაზღვრება 718 ათასი ტონის რაოდენობით.

გარდა ამისა, ჩვენს მიერ ანგარიშში არის მიღებული მურანახშირის საბადოები.

ახალციხის მურანახშირის საბადო. ამ საბადოს სრული შესწავლა აქამდე არ არის დამთავრებული. მარაგთა ა/კ. სარაიონო კომისიის მიერ 1935 წ. მარტო ვალეპამაჟის უბნისათვის-მარაგი დამტკიცებულია: A₂ კატეგ.—1.695 ათასი ტონა, B კატეგ.—3.500 ათ. ტონა, C₁ კატეგ.—7.132 ათ. ტ. და C₂ კატეგ.—18.558 ათ. ტონა, სულ—30.945 ათასი ტონა.

სამხრეთ უბნისათვის მარაგი გამოთვლილია 1935 წ. C₁ კატეგ.—3.600 ათასი ტონა, C₂ კატეგორიით—60.000 ათ. ტნ. სულ 63.600 ათ. ტნ. ეს მარაგი ჯერ დამტკიცებული არ არის. სულ ორივე უბანზე მარაგი ნანგარიშევი 94.545 ათასი ტონის რაოდენობით.

საქართველოში მოიპოვება მურანახშირის მთელი რიგი საბადოები, ჯერ-ჯერობით შეუსწავლელი და გამოუკვლეველი.

სათბობის პოტენციური რესურსების საერთო ოდენობის განსაზღვრის დროს საჭიროდ ვცანით მხედველობაში მიგველო სამხრეთ-კახეთის ნახშირის საბადო.


ეს საბადო შესწავლილი არ არის. საბადოს პერსპექტიული მარაგი მარტო I, III, და IV ფენებში (მხოლოდ საბადოს ცენტრალურ ნაწილში კიდურმისა და ალანდრის-ხევის შორის) გამოთვლილია 22.080 ათასი ტონ. რაოდენობით.

II. ნახშირიანი ფიქალების მარაგი დამტკიცებულია მარაგთა კომისიის მიერ ტყვარჩელისა და ტყიბულის საბადოებში შემდეგი რაოდენობით:

(ათას. ტონ.)	A ₂	B	C	სულ
ტყვარჩელი (ნახშირიანი ფიქალები) . .	13.640	18.440	—	32.080
ტყიბული (ბიტუმიანი, ნახშირიანი და ნახშირ კირიანი ფიქალები)	18.678	8.077	15.332	42.087
	32.318	26.517	15.332	74.167

პირობით სათბობზე გადაყვანისას ჩვენ ვსარგებლობდით სათბობის კოლორიული ეკვივალენტებით, რომელნიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსახ-კოსთან არსებული საგეგმო კომისიის მიერ 1939 წ. 27 ივლისს.

III. ნავთობის მიმართ ჩვენ ვღებულობთ მარაგს იმ რაოდენობით, რომელიც გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ენერგეტიკული ინსტიტუტის მიერ—176,2 ათასი ტონის რაოდენობით, მათ შო-



რის კატეგორია A—2,6 მილ. ტონა, B—34,6 მილ. ტონა, C₁—107,5 მილ. ტონა¹.

მარაგის ეს რაოდენობა როდი ამოსწურავს ჩვენი ნავთობის რაიონების სრულ შესაძლებლობას, რადგანაც ისინი გეოლოგიური შესწავლის პერიოდში იმყოფებიან და ყოველწლიურად წარმოებს გამოძიებულ მარაგთა ვადიდება.

ჩატარებული ბურღვის შედეგად უკვე მოპოებული ნავთის ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს ნავთი მაღალხარისხოვანია. ასე, მაგალითად, ნათელი პროდუქტების რაოდენობა ნორიოს ნავთში 40%-ს უდრის, ხოლო მირზაანისა და შირაქის ნავთში 30%-ზე მეტია.

IV. ბუნებრივი საწვავი გაზის გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბუნებრივი გაზის ხვედრითი წონა სათბობ ენერგეტიკულ ბალანსში 10—11 პროცენტით განიზომება. საქართველოს ბუნებრივი გაზის სამრეწველო გამოყენების პირობები მოითხოვენ დაწვრილებით შესწავლას. დღეისათვის ბუნებრივი გაზების მარაგი საქართველოში განისაზღვრება პირობით სათბობში 37 მილ. ტონის რაოდენობით². „სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში დიდ რეზერვს წარმოადგენს გაზის მრეწველობა. ეს მრეწველობის ახალი დარგია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. იგი, თუ ასე შეიძლება ითქვას, კომუნისტური საზოგადოების მრეწველობაა“³.

V. შეშის მერქნის საერთო მარაგი განსაზღვრულია იმ ანგარიშიდან, რომ ტყით დაფარული ფართობი შეადგენს 1.996,6 ათას ჰექტარს, ხოლო შეშის საწვავი მერქნის საერთო მარაგი 200,3 მილ. კუბ. მეტრს, აქედან შეშის მერქანი—184,8 მილ. კუბ. მეტ. და ნარჩენები—15,5 მილ. კუბ. მეტ.

სათბობის აღნიშნულ სახეობათა გარდა საქართველოში მოიპოება აგრეთვე ტორფის ჭაობები, სადაც შესაძლებელია ტორფის სამრეწველო მოპოების ორგანიზაცია.

ტორფით მდიდარი ძირითადი ჭაობები მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, ასეთია: ფოთის, რედუტ-კალეს, ხობის, სუხუმის, ნატანების, ოჩხამურის, გონიოს, მერიის, დიდიჭყონის, ანაკლიის და სხვ.⁴ განსაკუთრებით საინტერესო რაიონს წარმოადგენს ფოთისა და რედუტ-კალეს საბადოები.

ფოთის საბადო (სამი უბანი საერთო სივრცით 8.400 ჰექტარი) მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი; ნეკლი ტორფის საერთო მარაგი გან-

¹ იხ. Энергетические ресурсы СССР. Академия Наук СССР. Энергетический Институт. т. II, ст. 529.

² Там же.

³ ლ. მ. კავანოვიჩი, სიტყვა საქ. კ. ბ. (ბ) XVII ყრილობაზე. სახელგამის გამოცემა, 1939 წ., გვ. 32.

⁴ იხ. Минеральные ресурсы Грузии. изд. „Техника და შრომა“, ст. геологов И. Кахадзе и Акентьева.

საზღვრულია 450 მილ. კუბ. მეტ. რაოდენობით, აქედან გამოკვლეულია ლოდ 169,8 მილ. კუბ. მეტრი.

რედუტ-კალეს საბადო (სივრცით 3.360 ჰექტარი). მარაგი საორიენტაციო მონაცემებით განისაზღვრება 201,6 მილ. კუბ. მეტრის რაოდენობით.

დანარჩენ საბადოთა ნაწილის მარაგი ან არ არის გამოკვლეული, საორიენტაციო მონაცემებითაც კი, ან ნაანგარიშვგია მეტად მცირე რაოდენობით.

დასავლეთ-საქართველოს ტორფის ჭაობები ძირითადად ეკუთვნიან დაბლობიან ჭაობების ჯგუფს და მცირე დაშლილ ტორფს წარმოადგენენ, რომლის დაშლის ხასიათი იზრდება ქვედა ფენებში. კოლხიდის ტორფის ზედა ფენები გამოუსადეგია სათბობისათვის და სავსებით გამოსაყენებელია სხვა მიზნებისათვის.

ვინაიდან ტორფის მარაგი მთლიანად საორიენტაციო მონაცემთა საფუძველზედაც კი არ არის შესწავლილი, არ არის აგრეთვე განსაზღვრული მისი სამრეწველო დამუშავების წესიც და განსაკუთრებით ქვედა ფენებისა სათბობად გამოყენების სამრეწველო შესაძლებლობა, ჩვენ შესაძლებლად არ ვცანით სათბობის საერთო პოტენციური მარაგის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიგველო ტორფი, როგორც სათბობის რეალური რესურსი. მეორე მხრით, მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული დასავლეთ-საქართველოს ტორფის გამოყენება პირველ რიგში როგორც ნიადაგის გამანოყიერებელი, მასალისა (სასუქი). ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მოსავლიანობის ზრდა აუცილებლად ხდის მინერალურ სასუქთა (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) გარდა, ნიადაგში ორგანული სასუქის შეტანის საჭიროებას, რომელიც ასე ესაჭიროება საქართველოს სოფლის მეურნეობას. ამჟამად ორგანული სასუქი (ნაკელი) აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გადაგვაქვს დას. საქართველოში 400—500 კილმ. მანძილზე რკინიგზით, რის გამოც ვერ ვაკმაყოფილებთ სრულად მოთხოვნილებას.

ამ გარემოებამ გამოიწვია ტორფის გამოყენების საჭიროება ორგანულ სასუქად ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებისათვის. უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობათა“ ტრესტი ფართოდ იყენებს ტორფს (ტორფო-ფოსფორიანი კომპოსტები), რომლის ნიადაგში შეტანა გათვალისწინებულია სავალდებულო აგრომინიმუმით.

წინასწარი ანგარიშით ტორფის სასუქის საჭიროება ჩაის პლანტაციებისათვის ნაანგარიშვგია 700 ათ. ტ. რაოდენობით (ნორმა საშუალოდ—50 ტონა 1 ჰექტარზე, სინესტე—60%), ციტრუსების პლანტაციებისათვის კი 350 ათ. ტ.

აღნიშნული გარემოება აქტუალურად სვამს საკითხს ტორფის ჭაობების დამუშავებისა და მის საფუძველზე ნიადაგის გამანოყიერებელი სასუქების წარმოების შესახებ. რათა სავსებით იქნას დაკმაყოფილებული ჩაისა და ციტრუსოვან პლანტაციების საჭიროება-მოთხოვნილებანი.

საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი ტორფის დამუშავების პირობები, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ტორფის მოპოვების მხრივ მეტად ეფექტიური რაიონების შერჩევით. მხოლოდ ამ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ გვექნება ჩვენ შესაძლებლობა გამოვიმუშავოთ სწორი აზრი და შეხედულება



ტორფის გამოყენების ეკონომიური მიზანშეწონილობის შესახებ. მანამდე, როდესაც ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული აზრი ტორფის სასუქების წარმოებისათვის გამოყენების შესახებ პირობითს ხასიათს ატარებს და სავსებით დამოკიდებულია სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის შედეგებისაგან.

საქართველოს სათბობის პოტენციური რესურსების სტრუქტურა, სათბობის მოპოვებისა და დამზადების სტრუქტურასთან დაპირისპირებით, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავაშკარავოთ მნიშვნელოვანი სხვაობა მოპოვებასა და რესურსების სტრუქტურას შორის.


სათბობის პოტენციური რესურსებისა და მოპოვების სტრუქტურა სსრ კავშირში და საქართველოს სსრ-ში შემდეგი ციფრებით ხასიათდება:

სათბობის სახეები	სსრ კავშირი ¹		საქართველოს სსრ	
	სათბობის პოტენციური რესურსების ხვედრითი წონა	სათბობის მოპოვების ხვედრითი წონა 1935 წ.	სათბობის პოტენციური რესურსების ხვედრითი წონა	სათბობის მოპოვების ხვედრითი წონა 1938 წ.
1. ქვანახშირი	94,3	45,2	31,9	52,2
2. საწვავი ფიქალები	1,4	0,0	7,1	—
3. ტორფი	3,3	3,6	—	—
4. ბუნებრივი გაზი	0,1	1,1	6,4	—
5. ნავთობი	0,4	17,6	45,4	4,0
6. შეშის მერქანი	0,5	32,5	9,2	37,8
	100,0	100,0	100,0	100,0

ამგვარად, თხევადი სათბობის მოპოვებას საქართველოში ჯერჯერობით არ ეკუთვნის ის ადგილი, რომელიც მას უკავია სათბობის პოტენციური რესურსების სტრუქტურაში. უახლოესი წლების ამოცანაა, რათა საქართველოში მკვეთრად იქნას გაზრდილი ნავთის მოპოვება როგორც უკვე სამრეწველო მნიშვნელობის ფართობებზე, ისე ახალ ნავთობიან რაიონებში.

მეორე მხრით, შეშის მერქნის დამზადება სათბობის საერთო მოპოვებაში 37,8%-ით განისაზღვრება, მაშინ როდესაც სათბობი რესურსების მარაგში შეშის მერქნის ხვედრითი წონა 9% არ აღემატება. სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობის რაციონალიზაციის ერთერთ აქტუალურ ამოცანას შეადგენს შემცირე-

¹ Энергетические ресурсы СССР, т. II, ст. 450, изд. А. Н. Инст. энергетики: Вейц, Золотарев, Пробст, Руссаковский, Топливный баланс народного хозяйства.



ბულ იქნას შეშის დამზადება და მისი მოცულობა სათბობის საერთო დამზადებაში დაყვანილ იქნას იმ ხვედრითი წონაზე, რომელიც მას (შეშას) ეკუთვნის სათბობის პოტენციურ მარაგთა საერთო სტრუქტურაში.

სათბობის მოხმარების სტრუქტურა

სათბობის სხვადასხვა სახეობის ხარჯვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ 1938 წ. წინასწარი სავარაუდო გაანგარიშებით შემდეგ ციფრებში გამოიხატება¹:

სათბობის სახეები	საზომი ერთეული	ნატურალური გამოხატულებით	პირობით სათბობში (ათას ტონა)	%-ით ჯამის მიმართ
1. ქვანახშირი	ათასი ტონა	302,0	246,7	23,1
2. ნავთობი	"	423,8	635,7	59,5
3. შეშის მერქანი	ათასი კუბ. მეტრი	1,000	186,0	17,4
სულ	—	—	1068,7	100,0

I. ქვანახშირი ქვანახშირის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს მრეწველობა; იგი მოიხმარს ქვანახშირის საერთო რაოდენობის 70—77%¹; მრეწველობა ქვანახშირს უმთავრესად გამოიყენებს როგორც ტექნოლოგიურ საწვავს (თერმიული მიზნებისათვის).

ქვანახშირის მოხმარების სტრუქტურა საქართველოს სსრ-ში შემდეგი ციფრებით ხასიათდება (ცხრილი იხ. 140 გვ.):

საქართველოში მოპოებული ნახშირის მოხმარების სტრუქტურისათვის დამახასიათებელია ორი სპეციფიკური მომენტი:

პირველი — საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში ტრანსპორტის ხვედრითი წონა ქვანახშირის საერთო მოხმარების სტრუქტურაში 70 პროც. შეადგენს, ხოლო ა/კავკასიის რესპუბლიკების ქვანახშირის მოხმარების სტრუქტურაში

¹ ჩვენ არ მოგვეპოება საანგარიშო მონაცემები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სათბობის ხარჯვისა, ამიტომ ვსარგებლობთ სათბობის რეალიზაციის გეგმების შესრულების მონაცემებით; ქვანახშირის მიმართ „გლავუგლესბიტის“ თბილისის კანტორის 1938 წ. ანგარიშით, თხევადი სათბობის მიმართ „ნფუთესბიტის“ თბილისის კანტორის მონაცემებით, ხოლო შეშის დარგში დამზადების გეგმათა შესრულების ცნობებით.



მ ი მ მ ა რ ე ბ ლ ე ბ ი	ქვანახშირის მოხმარების სტრუქტურა %/ბით 1937 წ.
ტრანსპორტი	6,5
ენერგეტიკა	2,8
მრეწველობა	76,9
დანარჩენი მომხმარებლები	13,8
ს უ ლ	100,0

რაში იგი 6—10 პროცენტს არ აღემატება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზა, რომლის მახლობლად მდებარეობს ბაქოს ნავთის მრეწველობის რაიონი, იმთავითვე ძირითადად თხევად სათბობზე (მაზუთი) მუშაობდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში, საქართველოს ფარგლებში, ელექტრონის გამწვევ ძალაზე. ლ. პ. ბერიას სახელობის ა/კავკასიის რკინიგზა ნახშირს მოიხმარს მხოლოდ შენობებისა და წყლის გასათბობად და არა როგორც სათბობს ორთქლმავლებისათვის, სსრ კავშირის სხვა რაიონებში კი რკინიგზის ტრანსპორტი ძირითადად მაგარ მინერალურ სათბობზე—ქვანახშირზე მუშაობს. საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ლ. მ. კავანოვიჩი აღნიშნავდა: „რკინიგზის ტრანსპორტი დღელამეში ხარჯავს 110—120 ათას ტონა ქვანახშირს. იგი ქვანახშირის ერთერთი უდიდესი მომხმარებელია“¹.

მეორე სპეციფიკური თავისებურება ა/კავკასიის ქვანახშირის ბალანსისა ისაა, რომ 1939 წლამდე თითქმის სრულად გამოირიცხულია ჩვეულებრივად ისეთი მძლავრი მომხმარებლები, როგორცაა ელექტროსადგურები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ საქართველოს ელექტრომეთურნობა ძირითადად ეყრდნობა „თეთრი ნახშირის“ გამოყენებას. მხოლოდ 1939 წ. ექსპლოატაციაში გადავიდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, სიმძლავრით 74 ათასი კვტ. (პირველი რიგი). ამ სადგურმა უნდა იმუშაოს ნახშირის გამდიდრების ნარჩენებზე; მისი მოთხოვნილება ნახშირისა შეადგენს 120 ათას ტონას. ამიტომ უკვე 1939 წ. ელექტროენერგეტიკული მიზნებისათვის ქვანახშირის მოხმარების ხვედრითი წონა გაიზარდა 20 პროცენტამდე, მიუხედავად ამისა, ელექტროსადგურების მოხმარების ხვედრითი წონა ქვანახშირის მოხმარებაში საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე სსრ კავშირის სხვა რაიონებში.

¹ ლ. მ. კავანოვიჩის სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. სახელგამის გამოცემა, 1939 წ. გვ. 26.

საქართველოში მოპოვებული ნახშირის მოხმარება რესპუბლიკების მიხედ-
ვით 1938 წ. შემდეგნაირად ნაწილდება:

	ხვედრითი წონა %/ობით
საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკა	66,8
სომხეთის " " "	28,5
აზერბაიჯანის " " "	2,0
ა/კავკასიის რკინიგზა	2,7
	100,0

საქართველოში ქვანახშირის მთავარ მომხმარებელს წარმოადგენს მრეწვე-
ლობა. მრეწველობის მიერ მოხმარებულ ქვანახშირის 65⁰/₀-ს მძიმე მრეწველობა
მოიხმარს. მძიმე მრეწველობის დარგთა შორის ძირითადი მომხმარებელია საამ-
შენებლო მასალათა მრეწველობა—კასპის ცემენტის ქარხანა (50—52 ათასი ტონა),
აგურისა და კირის ქარხნები და სხვ. მრეწველობის ეს დარგები აწარმოებენ
გამოწვის პროცესს, რომელიც თერმიული მიზნებისათვის მასობრივად საჭი-
როებს სათბობს.

მეორე ადგილი ეკუთვნის კვების მრეწველობას. ნახშირის მსხვილ მომხმა-
რებლებს წარმოადგენენ: ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნები (6,3 ათასი
ტონა საქვაზე მეურნეობისათვის), შაქრის ქარხანა აგარაში (18 ათასი ტონა),
მარგარიტის ქარხანა თბილისში (1,5 ათასი ტონა საქვაზე მეურნეობისათვის),
თბილისის პურის საცხობი მექანიზებული ქარხნები (2,6 ათასი ტონა), სა-
ფერმენტაციო ქარხნები (2 ათასი ტონა). მსუბუქი მრეწველობის ხაზით: აბრე-
შუმის ძაფსაღები ფაბრიკები მახარაძეში, სამტრედიაში, წულუკიძეში, თე-
ლაში (საერთო მოხმარება 8,3 ათასი ტონა), თბილისის აბრეშუმის საქსოვი
ფაბრიკა (3,2 ათასი ტონა), ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი (2,9 ათასი ტონა),
თბილისისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკები (10,9 ათასი ტონა), თბილისის
ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა „გიგანტი“ (17 ათასი ტონა
საქვაზე მეურნეობისათვის, რომელიც აწვდის ორთქლს თბილისის ქალაქის
ფაბრიკას).

ხე-ტყის მრეწველობის ხაზით ქვანახშირის მსხვილ მომხმარებელს
უკვე 1939 წლიდან წარმოადგენს ენგურის ქალაქის კომბინატი (13 ათასი
ტონა).

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საქართველოში
მოპოვებული ნახშირის მთავარი მომხმარებლები არიან: დავაღუს ცემენტის
ქარხანა, ალავერდის შაბიანის წარმოება და სხვა სამრეწველო საწარმონი.

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარება
ადიდებს ქვანახშირის საჭიროებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.



ქვანახშირის მოპოვების მკვეთრ გადიდებას, როგორც უკვე მოქმედებაში მყოფი საწარმოთა განვითარების ხაზით (ტყიბულში ახალი საშახტო მშენებლობის დამთავრება, ტყვარჩელში მაღაროს საპროექტო სიმძლავრის სრული ათვისება), ისე ნახშირის ახალ საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის ორგანიზაციის მიმართულებით. პირველ რიგში სამრეწველო ექსპლოატაციის საკითხი ისმება ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტის მიმართ, როგორცაა ახალციხის საბადო.

სათბობის პერსპექტიულ ბალანსში არ უნდა იქნას გადიდებული ქვანახშირის გამოყენება ენერგეტიკულ მიზნებისათვის, რადგან, როგორც ზემოთ დავინახეთ, მისი მარაგი განსაზღვრულია და იგი ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას მრეწველობის მიერ ტექნოლოგიურ მიზნებისათვის, ელექტროენერგეტიკა კი ძირითადად უნდა დაემყაროს ჩვენი ქვეყნის მდიდარ ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას; ეს ძირითადი მოსაზრება სახელმძღვანელო ხასიათს უნდა ატარებდეს საქართველოს ელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტიული გეგმების დამუშავების დროს.

II. სათბობის მთავარ სახეს, რომელიც მოიხმარება საქართველოში, წარმოადგენს თხევადი სათბობი (ნავთი, მაზუთი, კეროსინი, ბენზინი, მოტორული ნავთი), რომელიც გამოიყენება როგორც ენერგეტიკული მიზნებისა, ისე ტექნოლოგიური პროცესებისათვის. სათბობის საერთო ხარჯში თხევადი სათბობის ხარჯვის მაღალი ხვედრითი წონა (59,5%) აიხსნება შემდეგი გარემოებით:

ა) რკინიგზის ტრანსპორტი (გარდა ელექტროფიცირებული უბნებისა) მუშაობს მაზუთით, რომლის მიერ დახარჯული თხევადი სათბობი საერთო ხარჯის თითქმის ნახევარს შეადგენს; ელექტროფიცირებული უბნები ზამთარ-შემოდგომის პერიოდში, ელექტროენერჯის სიმციროს გამო, გამოითიშებიან ელექტრომომარაგებიდან და გადადიან ორთქლის წვეახზე;

ბ) მთელი რიგი საფაბრიკო-საქარხნო ელექტროსადგურები მუშაობს თხევად სათბობზე; გარდა ამისა, 1939 წ. მოქმედებაშია გადაცემული თბილისის თბოპროექტის სადგური (პირველი რიგის სიმძლავრე 4.0 ათასი კვტ.);

გ) თხევადი სათბობის მსხვილ მომხმარებელს წარმოადგენს საავტომობილო მეურნეობა და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ტრაქტორები, კომბაინები და სხვ.).

მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით ყოველწლიურად იზრდება ავტომობილებისა და ტრაქტორების პარკი, რაც ზრდის თხევადი სათბობის ხარჯვის ოდენობას და ადიდებს თხევადი სათბობის ხვედრითს წონას.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმხრივ შევამციროთ თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმები მისი მოხმარების რაციონალიზაციისა, ზუსტი აღრიცხვისა და ყაირათიანი ხარჯვის დანერგვის საფუძველზე, „თეთრი ნახშირის“ ფართოდ გამოყენების საფუძველზე გავადილოთ ელექტროენერჯის გამოყენება იქ, სადაც ეს შესაძლებელია და შევცვალოთ თხევადი სათბობის ხარჯვა ჰიდროელექტროენერგიით.

რკინიგზის მთლიანად ელექტროენერჯის გამწვევ ძალაზე გადაყვანით ჩვენ მივიღებთ რამდენიმე ასეული ტონა თხევადი სათბობის ეკონომიას; საქმარისია აღვნიშნოთ, რომ რკინიგზის მხოლოდ თბილისი — ხაშურის უბანზე ელექტროფიკაცია ყოველწლიურად უზრუნველყოფს 40.150 ტონა თხევადი სათბობის ეკონომიას, რომლის ღირებულება 4,5 მილ. მანეთს აღემატება.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა (მცირე და საშუალო სიმძლავრისა) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ელექტროენერჯის ფართოდ დანერგვას მრეწველობის სხვადასხვა დარგში, როგორც ძალოვან მეურნეობაში, ისე ტექნოლოგიური მიზნებისათვის; მთელი რიგი სამრეწველო დარგი, რომელიც დღეს ელექტროენერჯის ღებულობს თხევად სათბობზე მომუშავე ელექტროსადგურებიდან, გადაყვანილ იქნება ჰიდროელსადგურების ძალაზე; მაგალითად, 25 ქარხანა ელექტროენერჯით მარაგდება საფაბრიკო-საქარხნო დანადგარებიდან, რომელიც თხევად სათბობზე მუშაობს (დიზელები); მათი გადაყვანა ჰიდროელექტროსადგურებიდან მიღებულ ელექტროენერჯით მომარაგებაზე შეგინარჩუნებს თხედავი სათბობის რამდენიმე ათეულ ათას ტონას. საქმარისია აღვნიშნოთ, რომ მახარადის რაიონში მდ. ბჟუჟაზე დაპროექტებული საშუალო სიმძლავრის ჰიდროსადგური ჩაის ფაბრიკების მოთხოვნილებათა დასაფარავად ყოველწლიურად მოგვცემს 20—25 ათას ტონა თხევადი სათბობის ეკონომიას.

ჰიდროელექტრომშენებლობის გაფართოება უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გამოყენებას საყოფაცხოვრებო მიზნებისათვისაც, რის შედეგად შემცირდება თხევადი სათბობის ხარჯვაც.

III. შეშის მერქნის გამოყენება სახალხო მეურნეობაში სათბობი მიზნებისათვის მოითხოვს მკვეთრ შემცირებას. აუცილებელია ბინებისა და შენობების გათბობა ძირითად საქალაქო ცენტრებში ქვანახშირზე იქნას გადაყვანილი, რათა არ წარმოებდეს ჩვენი ტყეების განადგურება. მით უმეტეს, რომ საქართველოს ტყეები ძირითადად მაღალხარისხოვან მერქნის ჯიშებისაა (წიფელა). ამავე დროს საქართველოს ტყეებს ნიადაგისა და ჰაერის დასაცავად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დსახული მთელი რიგი ღონისძიება, მიმართული სათბობის ხარჯვის რაციონალიზაციისაკენ. ამ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია.

ნახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია უზრუნველყოფს ქვანახშირის ენერჯის საწვავი გაზების ენერჯიად გადაქცევას უშუალოდ ქვანახშირის ფენის ჩაწოლის ბუნებრივ პირობებში. ამით მოიხსნება საჭიროება ადამიანის მიერ მიწის ქვეშ მძიმე საშუაოს გაწვეისა. საჭირო აღარ იქნება უდიდესი შრომის დანახარჯები ნახშირის მოპოვებაზე, საწვავი გაზი მიღებით მიეწოდება მომხმარებელს. საქართველოს პირობებში ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა გაზიფიკაციის შესაძლებლობანი და დანერგვის პერსპექტივები სპეციალურ შესწავლასა და გამოკვლევას მოითხოვს.

И р. М и к е л а д з е

К анализу топливного баланса Грузинской ССР

(Резюме)

Одной из первоочередных задач социалистического строительства в СССР является всемерное развитие и расширение производства местного топлива во всех известных районах страны, в целях создания благоприятных условий для дальнейшей индустриализации этих районов и ликвидации уродливого и противоречивого топливного хозяйства довоенной России.

В Грузинской ССР, в связи с осуществляемой советской властью социалистической индустриализацией, проведена большая работа по организации каменноугольной и нефтяной промышленности.


На основе сопоставления структуры топливных ресурсов Грузии со структурой фактического потребления топлива в республике, устанавливается несоответствие между наличием ресурсов отдельных видов топлива и их объемом потребления в народном хозяйстве.

В связи с этим намечается задача всемерного форсирования расширения добычи угля и нефти и сокращения расходования древесного топлива.

Ограниченность запасов каменного угля в Грузинской ССР ставит задачу широкого использования богатых гидроэнергетических ресурсов и строительства гидроэлектростанций, в целях экономии каменноугольного топлива для технологических нужд промышленности.

Создание бездефицитного баланса угля в ближайшие годы и обеспечение дальнейшего роста народного хозяйства республик Закавказья не представляется возможным без форсирования работ по строительству, связанному с освоением проектных мощностей шахт Ткибули и Ткварчели, а также без включения в действие новых дополнительных мощностей шахт на уже выявленных угольных месторождениях в Грузии.

Первоочередным объектом, подлежащим освоению, является Ахалцихское месторождение бурых углей.




დისერტაციების დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად


1940 წლის თებერვლიდან 1 ივლისამდე (აკადემიური წლის დასასრულამდე) სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციები დაიცვეს და სათანადო სამეცნიერო ხარისხი მიიღეს შემდეგმა პირებმა:

დისერტანტის გვარი, სახელი და მამის სახელი	სამეცნიერო წოდება	დისერტაციის თემა
1. ჩახვაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე	ისტ. მეცნ. კანდ.	„კახეთის აჯანყება 1812 წელს“
2. ყუბანეიშვილი სოლომონ ივლიანეს-ძე	ფილოლოგ. მეცნ. კანდ.	„ნარკვევი მეექვსე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ვესტატი მცხეთელი).“
3. მალრაძე პეტრე გიორგის-ძე	ბიოლოგ. მეცნ. კანდ.	„Проявление эхинококкоза при искусственном заражении собак и при естественной инвазии у промежуточного хозяина.“
4. კალინიჩენკო ანდრია იაკობის-ძე	ეკონ. მეცნ. კანდ.	„Основные вопросы единого государственного бюджета СССР“
5. ბრეგაძე ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე	ბიოლ. მეცნ. დოქტ.	„ძაღლის უნარი რიგობითი «თვლისა» და მისი ბუნება“
6. მელიხოვი ალექსი ნიკოლოზის-ძე	ისტ. მეცნ. კანდ.	„Ленин и революция 1905 года в Закавказье“
7. ვლადიმეროვი ვლადიმერ ივანეს-ძე	ბიოლ. მეცნ. კანდ.	„Севанская храмуля“
8. პავლოვი პეტრე იოსების-ძე	„ „ „	„Биология севанских форелей и освоение их промыслом“
9. კახნიაშვილი ალექსანდრე ილარიონის-ძე	ქიმიის მეცნ. კანდ.	„კოლოიდური პლატინის მოწამვლის დამოკიდებულება მორფინი-ჯგუფის ალკალოიდების სტრუქტურასთან“
10. ასათიანი დავით ყაფლანის-ძე	პედაგოგ. მეცნ. კანდ. (ფსიქოლ.)	„მეხსიერების პირველი ფაზის შესახებ“

დისერტანტის გვარი, სახელი და მამის სახელი	სამეცნიერო წოდება	დისერტაციის თემა
11. კაკაბაძე აკაკი ილიას-ძე . . .	ეკონ. მეცნ. კანდ.	„სსრ კავშირის და მოკავშირე რეს-პუბლიკათა საბიუჯეტო უფლებების საფუძვლები“
12. ციბა ვიქტორ თომას-ძე . . .	ისტ. მეცნ. კანდ.	„Крестьянские движения и ре-форма 1861 г. в России“
13. ხალილოვი ზაიდ ისმაილ-ოღლი	ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ.	„Задача Клебша и ее обобщение“
14. ჩიქოვანი მიხეილ იასონის-ძე	ფილოლ. მეცნ. კანდ.	„ქართული ხალხური ზღაპრები“
15. კალანტარლი ხუდოვერდ შახ-ბაზ-ოღლი	ქიმიის მეცნ. კანდ.	„Получение карбоновых кислот путем окисления воздухом углеводородов, выделенных селективными сольвентами из нефтяных дестиллатов“
16. კულიზაძე სალმან ნარიმან-ოღლი	ქიმიის მეცნ. კანდ.	„Алкимирование нафталина при помощи изоамилбромиды, нормального гентил-бромиды, децил-бромиды (третичн.), додецилхлорида (третичн.) и эйкозилхлорида (третичн.) под влиянием безводного хлористого алюминия“
17. ყავერიშვილი ბესარიონ ივანეს-ძე	გეოგრაფ. მეცნ. დოქტორი	„Ландшафтно - гидрологические зоны Грузии“
18. დაინი ალექსანდრე ივანეს-ძე	ეკონ. მეცნ. კანდ.	„Анализ хозяйственной деятельности строительных организаций“
19. აბულაძე ვალერიან ივანეს-ძე	ეკონ. მეცნ. კანდ.	„საქონლის გატარების ძირითადი საკითხები სსრ კავშირში“
20. ბეჟიაშვილი ვლადიმერ დავითის-ძე	პედაგ. მეცნ. კანდ.	„სილუეტების აღქმა უსინათლო ბავშვთა მიერ“
21. ლომსაძე ნიკოლოზ სერგოის-ძე	ოურიდ. მეცნ. კანდ.	„საკოლმეურნეო საკუთრება როგორც ფორმა სოციალისტური საკუთრებისა“
22. გორგაძე ალექსანდრე ვასილის-ძე	პედაგ. მეცნ. კანდ.	„თვალსაჩინოება სამოქალაქო ისტორიის სწავლებაში“
23. არენც არმო ბაგრატიის-ძე . . .	ისტ. მეცნ. კანდ.	„Сталин и революционное движение в Армении в 1906—07 гг.“
24. ძიმისტარიშვილი სოკრატ ივანეს-ძე	ისტ. მეცნ. კანდ.	„ცარიზმის გამარჯვებელი პოლიტიკა საქართველოში“
25. ვობლი ვადიმ კონსტანტინეს-ძე	ეკონომ. მეცნ. კანდ.	„Переписи населения в капиталистических странах“



დისერტანტის გვარი, სახელი და მამის სახელი	სამეცნიერო წოდება	დისერტაციის თემა
26. ჭილაია სერგო ესტატეს-ძე .	ფილოლ. მეცნ. კანდ.	„შიო არაგვისპირელი“ (ლიტერატურული უანრი და თემატიკა)
27. ჭადეიშვილი ნინო ვასილის ასული	ისტორ. მეცნ. კანდ.	„Грузия в период Закавказского комиссариата и Сейма“ (ноябрь 1917 г.—май 1918 г.)
28. ჭეიშვილი ნიკოლოზ ივლიანეს-ძე	ისტორ. მეცნ. კანდ.	„ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა დასავლეთ-საქართველოში XVIII საუკ.“
29. სამსონია აპოლონ გიტოს-ძე .	ფილოლ. მეცნ. კანდ.	„ალ. გრიბოედოვი ქართულ ენაზე“
30. ესებუა გრიგოლ გრიგოლის-ძე	ფილოლ მეცნ. კანდ.	„სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედება“
31. ფანცხავა არჩილ იაკობის-ძე .	ეკონომ. მეცნ. კანდ.	„Противоположность между городом и деревней и ее уничтожение“
32. კარბელაშვილი ლუარსაბ ანდრეას-ძე	ეკონომ. მეცნ. კანდ.	„მეხილეობა შიდა ქართლში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში“
33. გამყრელიძე გიორგი სამსონის-ძე	ეკონომ. მეცნ. კანდ.	„ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში“
34. ერისთავი მიხეილ სამსონის-ძე	მინერ.-გეოლ. მეცნ. კანდ.	„ქუთაისის მიდამოების ცარცის შუანაწილის სტრატეგრაფია“
35. ცაგარელი არჩილ ლუკას-ძე .	მინერ.-გეოლ. მეცნ. კანდ.	„დასავლეთ-საქართველოს ცარცული ინოცერამები“
36. კობერიძე ალექსანდრე ვარლამის-ძე	ბიოლოგ. მეცნ. კანდ.	„გამოკვლევები ზრდის ნივთიერებათა მოქმედებაზე კალმების დაფესვიანების დროს“
37. ანელი ნიკოლოზ ანტონის-ძე	„ „ „	„ფერადი სინათლის გავლენა თესლების გალივებაზე და მცენარის შემდგომ განვითარებაზე“
38. ბერიძე ვანტანგ ვუკოლის-ძე	ხელოვნებათმც. მეცნ. კანდ.	„სავანე, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი“
39. ფაფრეშტეინი სამუილ მოსეს-ძე	ისტორ. მეცნ. კანდ.	„Социально - политические и экономические воззрения декабристов. П. И. Пестель“
40. მეგრელიშვილი გაბრიელ ივანეს-ძე	ეკონომ. მეცნ. კანდ.	„კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ღირებულების თეორია“
41. კირვალიძე ირაკლი დიანოსის-ძე	ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ.	„К вопросу заряжения поверхности диэлектриков“
42. კორძაია მიტროფანე ოტიას-ძე	ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. (გეოფიზ.)	„ნალექები დასავლეთ-საქართველოში“



დისერტანტის გვარი, სახელი და მამის სახელი	სამეცნიერო წოდება	დისერტაციის თემა
43. კანდიევი ბოგდან ივანეს-ძე .	ფილოლოგ. მეცნ. კანდ.	„Чечено-ингушский фольклор как исторический источник“
44. ჯანელიძე პროკოფი ივანეს-ძე	პედაგოგ. მეცნ კანდ.	„მასწავლებლის ავტორიტეტი“
45. სიგუა სერგო ნოეს-ძე	პედაგ. მეცნ. კანდ.	„საერთო განათლების ფაქტა საშუალო სკოლა საქართველოში“
46. გადიევი პეტრე იურის-ძე	პედაგ. მეცნ. კანდ.	„Школы в Южной Осетии в XIX и XX вв. до ее советизации“
47. ციციშვილი გიორგი იოსების-ძე	ქიმიის მეცნ. კანდ.	„თბილისის გოგირდის წყლების ბუნება“
48. ჩხენკელი არკადი ზაქარიას-ძე	„ „ „	„Кристалло-алкоголяты мангано-хлорида“
49. შეინ-ზადე ისმაილ აღის-ძე	ფიზ. გეოგრაფ. მეცნ. კანდ.	„Географический очерк озер Аншеронского полуострова“
50. გუგუშვილი პაატა ბესარიონის-ძე	ეკონ. მეცნ. დოქტორი	„საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX საუკ. (რეფორმამდელი პერიოდი)“.

ამათ გარდა, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სსრკ-ის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის წინაშე, რათა დაუტყველად მიენიჭოთ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ს. დანელიას, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორისა—გ. გეხტმანს და გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორისა—აღ. თვალკრელიძეს.

ტექნოდაქტორი გ. ბოლქვაძე
 კორექტორი ი. ანდრონიკაშვილი
 გადაეცა წარმ. 24/VII 40
 გამომც. შეგვ. № 83
 სტამბის შეკვეთა № 460

ტირაჟი 500
 ანაწყ. ზომა 7×11
 ქაღალ. ზომა 72×105
 უფ 1360
 ხელმ. დასაბეჭ. 25/IX 40



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების განყოფილება

1. „შრომები“ წარმოადგენს სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პერიოდულ სამეცნიერო ბეჭდვითს ორგანოს, რომელშიც იბეჭდება უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკებისა და, ცალკეულ შემთხვევებში, სხვა მეცნიერთა სამეცნიერო შრომები.

2. „შრომები“ იბეჭდება ქართულ ან რუსულ ენაზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზეც და აგრეთვე გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე. ქართულ შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე რუსულ ენაზე; ამას გარდა, ქართულ და რუსულ შრომებს შესაძლებელია დაერთოს რეზუმე ერთერთ ზემოდასახელებულ უცხო ენაზე, ხოლო საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა და გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილ სამეცნიერო შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე ქართულ ან რუსულ ენაზე.

შენიშვნა: შინაარსი, ნაშრომთა ავტორების და სათაურების დასახელებით, დაერთვის ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

3. თითოეული დასაბეჭდი ნაშრომის მოცულობა, რეზუმეს ჩათვლით, როგორც წესი არ უნდა აღემატებოდეს 1,5—2,0 საავტორო თაბახს.

4. „შრომები“ ქვეყნდება ყოველთვიურად (გარდა ზაფხულის ორი თვისა) ცალკე ტომებად, თითოეული ტომი 10 საავტორო თაბახის მოცულობით. წლიურად, ამრიგად, გამოდის 10 ტომი.

5. დასაბეჭდად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რეზუმესთან ერთად, უკეთუ იგი ნაშრომს ერთის, უნდა იყოს სავსებით გამზადებული დასაბეჭდად: ა) საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და შესწორებული, ანდა სუფთად ხელით გადაწერილი, აუცილებლად ცალ გვერდზე; ბ) ფორმულები და საკუთარ სახელთა ან სხვა უცნაური დასახელებანი მკაფიოდ უნდა იყოს ხელით ჩაწერილი ტექსტში; გ) ციტირებული ლიტერატურის დასახელება უნდა იყოს სრული: ავტორის, წიგნის ან პერიოდული გამოცემის სრული სახელწოდების, წერილის სრული სათაურის, პერიოდული გამოცემის ტომის, გამოცემის ადგილისა და დროის აღნიშვნით.

6. დასაბეჭდ ნაშრომზე აღინიშნება კათედრა, ლაბორატორია და სხვ., საიდანაც იგი წარმოსდგა.

7. ნაშრომის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტი არავითარი შესწორებისა და დამატების შეტანა არ შეიძლება. უკეთუ დასაბეჭდად მიღების შემდეგ ან აწყობა-ბეჭდვის პროცესში გამოირკვა, რომ მასში შესწორება-დამატებათა შეტანა აუცილებელი, ნაშრომი ბეჭდვიდან ამოიღება.

8. დასაბეჭდი ნაშრომი უნდა გადაეცეს „შრომების“ პასუხისმგებელ მდივანს, რომელიც, წინასწარი გაცნობის შემდეგ, პასუხისმგებელ რედაქტორთან შეთანხმებით, უზახანის მას სათანადო განყოფილების რედაქტორს სარედაქციოდ და დასკვნისათვის.

9. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი რედაქტორთა მიერ შემოწმებულ და დასკვნამიცემულ ნაშრომებს, „შრომების“ მორიგი ტომის შინაარსის პროექტთან ერთად, წარუდგენს სარედაქციო კოლეგიას.

10. სარედაქციო კოლეგია განიხილავს წარმოდგენილ ნაშრომებს, რედაქტორთან შენიშვნებისა და დასკვნების საფუძველზე, და დამტკიცებს „შრომების“ მორიგი ტომის შინაარსს, რომელშიც ცვლილებების შეტანა, კოლეგიის დადგენილების გარეშე, არ დაიშვება.

11. „შრომების“ მორიგ ტომში შესულ ნაშრომთა საბოლოო რედაქციას, როგორც სტილისტურს, ისე შინაარსის მხრივ, აწარმოებს რედაქტორი, რომელიც მასალას სასტამბოდ ამზადებს.


12. რედაქტორივე ამოწმებს აწყობილ და გვერდებად შეკრული ანაბეჭდის ბოლო კორექტურას, რომელიც საბოლოოდ შესამოწმებლად და ხელმოსაწერად გადაეცემა პასუხისმგებელ რედაქტორს.

13. პასუხისმგებელი რედაქტორის ხელმოწერის შემდეგ აწყობილი თაბახი იბეჭდება.

14. ავტორს ეძლევა ერთერთი საკორექტურო ანაბეჭდი ერთი დღის ვადით მარტოდენ საკორექტურო შესწორებათა შესატანად.

15. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი ნაშრომის 50 ამონაბეჭდი და ერთი ცალი „შრომების“ იმ ტომისა, რომელშიც მისი ნაშრომი მოთავსებული.

ფანის მანეთი


ქართული
ანტიკობათმცოდნეობის
ინსტიტუტი

